1917—41, კვირა ღვინობისთვის 22,—ფასი 30 კაპ. წელიწადი მეხუთე გამოცემის

აძაკი ჩხენკელი
ამიერ კავკასიის მთავარ კომითეთის თავმჯდომ. თანამ. აღმასრულებელი.

ევგენი გეგეჭკორი
ამიერ კავკასიის სარევოლიო კომითეთის თავმჯდომარე.

დიდის ძუძუ

სოციალისტური მოძრაობა ძველ საქართველოში

(ერთი თვალის გადაგდებით)

სამშობლო დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედ.
რ. ერისთავი.

ჩია, უნდილ კაცის დანახვაზე ხშირად მსმენია:

— დედის ხსენი არ უგემნია, მშობლის ძუძუ არ უწოვნიაო.

რას ნიშნავს ეს?

ბავშმა თუ ჯანსაღ დედის ძუძუთი არ ისაზრდოვა — გონებით და სხეულით ვერ დასრულდებაო.

ეს აზრი მართალია თუ არა, რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რო მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხი — ჩვენი ერი მშობლის მკერდს მოსწყდა და მშობელ დედის ძუძუთი აღარ იკვებება, დაჩაავდა, გაუნდილდა, თითქმის არარად შეიქმნა. და თუ დღესაც კიდევ ჩვენი ერის შვილები სხვა და სხვა ასპარეზზე, განსაკუთრებით სოციალისტურ ასპარეზზე, მაღალ ნიჭიერებას იჩენენ, ეს ჩვენი შორეული ბრწყინვალე წარსულისა და მაღალ კულტურის ბრალია.

ნუ ვინ იფიქრებს, რომ ყველა დღევანდელი მოძრაობა საზოგადოებრივი თუ წოდებათა შორის უთანხმოების მაჩვენებელი, ე. ი. სოციალურ-კლასობრივი, ახალი დროის ხილი იყოს.

არა! ძველის დროის უდიდეს ქვეყნებს — რომს, საბერძნეთს, არაბეთს, მათ შორის საქართველოს ყოველივე ეს ახსოვს და მისი ძლიერი ძეგლებიცა გვაქვს.

საქართველო ჯერ კიდევ ქრისტეს უწინარეს ჩაება მსოფლიო ისტორიის ფერხულში და იმ დროის ძლიერ სამეფოთა შორის თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა. ქრისტეანობა რომ შემოვიდა, საქართველო მეოთხე საუკუნის დასაწყისში საქრისტიანო შეურყვნელ მოძღვრებას დიდის წყურვილით დაეწაფა და მაშინ, როდესაც დღევანდელი ჩვენი ბატონები ცა-ქვეყნის ძირზე იქნება არაკი ბოგინობდენ და ისტორიის სარბიელზე მხოლოდ მეცხრე საუკუნეში გამოჩნდენ, საქართველომ მეხუთე საუკუნეში საკუთარს ენაზე გადმოიღო სახარება, ეკლესიის დამოუკიდებლობა მოიპოვა და საქრისტიანო ეკლესიათა შორის ერთ მეხუთე წევრად ჩაირიცხა.

საქრიატიანო მოძღვრებამ, არაბთა კულტურამა და ბიზანტიის სწავლა-განათლებამ ქართველი ერი ისე მოამწიფა, რომ მეთერთმეტე მეთორმეტე საუკუნეში უკვე ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა სხვა და სხვა წოდებებით.

წოდებათა სხვა და სხვაობამ წარმოშვა სოციალისტური მოძრაობა, რომელმაც არა ერთი და ორი მსხვერპლი შეიწირა იმ დროის ჩვენის ქვეყნის ძლიერთაგან, მაგრამ მათი სახელები აშკარად ჩვენ დროს არ ახსოვს, მხოლოდ მკვლევარის ღრმა ნიჭი თუ განჭვრეტს.

ვიცი, თავის თავის ურწმუნო ქართველო ეს აზრი გეოცება და გაკვირვებით შემომძახებ: საქართველო და სოციალისტური მოძრაობა, ისიც მეთორმეტე საუკუნეშიო?!

დიაღ, დღეს სხვის ნამცეცებით კვებულო თავისთვის ურწმუნო ქართველო გეოცება, მაგრამ ეს ასე იყო. გაიცან შენი თავი, შენი წარსული და ნახ ვ, თუ ასე არ არის.

რას გვიმოძღვრებს სოციალისტური მოძღვრება?

ხალხის ქონებრივ-უფლებრივ და სქესობრივ თანასწორობა ერთობას.

ამ მოძღვრებას ჰქონდა თუ არა საქართველოში ადგილი?

აი, თუ არა.

გადავშალოთ ჩვენი სულმნათი შოთა რუსთველის უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი" და იქ წავიკითხავთ:

„მეც კაცსა ვთა საჯურჭელ
ათავისუფელ მონებნ!"
„ვარდთა და ნეხვთა ფინათგან
მზე სწორად მოეფინების!
„ერეკვი ერთმთა სწორთა
ძე იყოს თუნდა ხვადა!"

და სხ. და სხ.

რა არის ყოველივე ეს, თუ არა სოციალისტური მოძრაობის ჩანასახი?

ახლა ბედი ამ დიდებულ კაცისა და მისი ნაწარმოების

დიდებულთა მოთხოვნილებით თამარმა შოთა საქართველოდან განსდევნა, ხოლო იმ ეროის გაბატონებულმა წოდებამ „ვეფხის ტყაოსანი“ ცეცხლს მისცა, შემდეგკი მეთვრამეტე საუკუნემდის სდევნიდა.

მეცხრამეტე საუკუნეში რუსთა ბატონობამ ჩვენს მშობლის მკერდს მოგვწყვიტა, დედის ძუძუ დაგვიშრო, მაგრამ ძველის ძველათვე ძვალ-რბილში გამჯდარმა სოციალისტურმა მიდრეკილებამ მაინც თავი იჩინა (განსაკუთრებით მდაბიოთა წრიდან გამოსულ შვილებში) მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცის განთიადზე და ჩვენი ხალხი თავის საუკეთესო შვილთა მესვეურობით საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობის ფერხულში ებმის.

მაგრამ ებმის არა როგორც საქართველოს შვილი, როგორც ქართველი ანუ სრულიად უგვარტომო, არამედ როგორც რუსის, როგორც რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე.

ნუ თუ დრო არ არის ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ თვისი თავი იცნას, საერთაშორისო სოციალისტურ დროშასთან ერთად საქართველოს დროშაც ააფრიალოს, მით თავის მშობელ ხალხს საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცოს და განახლებისაკენ ეროვნულ-სოციალისტურ ნიადაგზე მოუწოდოს!.

დროა, დრო!

ჩვენი წამებული სამშობლოის მთა-გორები და ველ-მინდვრები ჯერ კიდევ მრავალ-მაღალ შეურყევნელ უმწიკვლო ნიჭს იფარავს!

მაგრამ რა გინდათ, რომ ამ ნიჭიერებას კარგა ხანს ჯერ ბატონ-ყმობის უღელი ღუნავდა, შემდეგ ნიკოლოზის ჩექმა, უვიცობასთან შეერთებული, ხოლო დღეს თითქმის საერთო გონებრივი სიბნელე, ეროვნულ ნიადაგზე განუვითარებლობა და შეურიგებელი პარტიულ-ჯგუფური შეუწყნარებლობა-დევნა ჰკვეცავს ფრთებს:

მუხრუჭები შევხსნათ ჩვენის ერის სულს, „განსაკუთრებით სოფლი“ სიბნელეში ჩაფლულ ხალხს, „ეგი მშობლის ძუძუს დავაწოფოთ, დაუბრუნოთ დედის მკერდს და მაშინ ქვეყანა დაინახავ“, „დედა ქართველსა“ რა გონებრივ და სხეულებრივ ლომებსა ზრდის!..

ილია ოქროპირიძე

ბნელა

ბნელა ირგვლივ! ბნელა... ზეცას
გადაჰკვრია ღრუბელთ გუნდი.
ტურფა მხარის მშობელ კერას
დასწოლია სევდის ხუნდი!

და სამშობლო მთების კალთებს
მოხვევია გარს ბურუსი,
ტარტაროზის მწარე სუნთქვით
დანაცრეცი, შენატრუსი.

შავ ღრუბელთა შავ საფლავში
ჩამარხულა ბადრი მთვარე
მის გაშრემა დასტირიან
ვარსკვლავები გულ-მწუხარე..

ბნელა მარჯვნივ! ბნელა მარცხნივ!
ბნელა გარეთ, ბნელა სულში
ბნელა დაზარს, ბლოვის ზარსა
კვლავ რეკავენ ჩემს მამულში!..

ტ. ლ.

პატარა შენიშვნები

(ქართულ წარმოდგენების გამო)

მკითველს მოეხსენება, რომ თბილისში ორ ალაგას იმართება ქართული წარმოდგენები: ქართულს კლუბში და სახალხო სახლში.

ქართულ კლუბში წარმოდგენებს მართავს მსახიობთა დასი დრამატურგ-რეჟისორის შალიკაშვილის ხელმძღვანელობით.

სახალხო სახლში-კი — სცენის მოყვარეთა წრე მსახიობ კ. შათირიშვილის რეჟისორობით.

ორგანვე ხალხი აუარებელი ესწრება.

ორგანვე წარმოდგენები ჩინებულად მიდის: მსახიობნი ცდილობენ სვინიდისიერად ეკადებიან თავიანთ მოვალეობას.

მაგრამ არ შეგვიძლიან ერთი შენიშვნა არ მივცეთ ორთავე დასს.

ერთი ან ორი ორიგინალური და

დროის შესაფერის პიესების გარდა, მეტ ნაწილად იდგმება ან ნათარგმნი ან დრომოქმული პიესები.

მართალია ნათარგმნ პიესებს ჩვენი მსახიობნი, როგორც არი სძლევენ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ორგინალურ პიესების დადგმა უფრო ეხერხებათ.

მეტყვიან: ორგინალური და დროთა შესაფერისი პიესები არა გვაქვსო.

ეგ არაა მართალი!

ჩამოვთვალოთ ჩვენი დრამატურგები: გედევანიშვილი, შიუკაშვილი, ტრ. რამიშვილი, ირეთელი, გლახაშვილი, შალვა დადიანი შალიკაშვილი....

კმარა...

მარტო ამ ზემოჩამოთვლილ დრამატურგების პიესებიც საკმაოა რომ რამდენიმე წლით თუ არა, ერთი სეზონის რეპერტუარი მაინც შესდგეს.

მაშ რაშია საქმე?

„ლალატისთანა“ პიესები ხომ არ იქნება ყველა?

რაც გვაქვს ხელთ, გვაჩვენეთ....

დაჟინებით ვიმეორებთ, ქართველ საზოგადოებას სწყურია ორგინალურ პიესების ნახვა და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

მუშა დევ ძის წერილის გამო

წარსულ ნომერში დაიბეჭდა მუშა მ. დევაძის წერილი, რომელიც ეხება მეტად საყურადღებო საკითხს,—ეროვნულ მუსიკის დაქვეითებას.

იგი აკრიტიკებს „ქართულ ფილარმონიუ საზოგადოების“ მოქმედებას, როგორც არა ეროვნულს და მთელ ბრალს დებს საერთოდ ქართველ ინტელიგენციას, რომ ვითომ მას უფრო ევროპიული ჰანგები მოსწონდეს და მიტომ იგი, არა ეროვნული, ეროვნულ საზოგადოებათ აქვთ მიჩნეულია.

ჩვენ ვეთანხმებით ავტორის აზრს ფილარმონიულ საზოგადოების შესახებ, მაგრამ რა შუაშია აქ მთელი ქართული ინტელიგენცია, როდესაც ხსენებულ საზოგადოებაში მხოლოდ რამდენიმე ინტელიგენტს მოუყრია თავი?

შემდეგ ავტორი აღნიშნავს რა ევროპის მუსიკის გავლენას ჩვენს მუსიკაზე, იგი თაყვანს სცემს მეორე მხრივ აღმოსავლეთის მუსიკას, ვინაიდან თუმცა იგი „ნაციონალური ხელოვნება არ არის, მაგრამ რადგან ჩვენი წინაპარი მრავალ-ჟამის განმავლობაში მით კმაყოფილდებოდა ამიტომ აღმოსავლეთის მუსიკატ უნდ-მიგვაჩნდეს, როგორც ჩვენიო“

ამაზე იტყვიან, ერთ ჭირს მომაშორე მეორეს შემყარეო.

ავტორს, როგორც სჩანს, ძალიან ჰყვარებია აღმოსავლეთის მუსიკა, მაგრამ საკითხის განხილვის დროს ჩვენ უნდა დავიცვათ მტკიცე ობიექტივიზმ და ისტორიული სინამდვილე.

ქართული მუსიკა არც აღმოსავლეთის მუსიკას წაგავს, არც ევროპისას. და თუ ჩვენ გვსურს შევისწავლოთ წმინდა ეროვნული ჰანგები, უპირველესად უნდა ჩამოვაცალოთ მას ყველა ის, რაც უკარგავს ეროვნულ ხასიათს.

აღმოსავლეთისა და ევროპის მუსიკა ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ, როგორც ცალკე საგნები.

ასე მსჯელობდნენ ჩვენი მუსიკის საუკეთესო მცოდნე კომპოზიტორნი.

სვ. ნერეოულდი

ამჩრდამენანი სარი?

ჩემ გარეშე ავაზაკ არს ყოველი,
თავდებია ჩემი, სვეტი-ცხოველი;
მის წინ ვდგევარ მუხლ-მოდრეკილ-მთხოველი,
და ამ პასუხს მხოლოდ მისგან მოველი.

ასე მინდა ვლოცულობდე გულითა,
მიწა მშობელს, შევხვდე სიხარულითა;
მტერსაც შევხვდე, გულით, სიყვარულითა.

ვინმე ივანე

917 წ. დეკ. 17 ქ. თბილისი.

უკრაინის გამოჩენილი პოეტნი

ივანე ფრანკო   ლესია უკრაინკა

გამოჩენილი უკრაინელი პოეტი-ქალი. მსოფლიო მო[redacted]ივებზე აგებული მისი ნაწარმოებნი, გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით და სევდით, როცა ჰხედავდა, რომ მისი თანამემამულენი უძველეს დროიდან თავისუფლების მოყვარულნი განიცდიან დევნას, შევიწროვებას ძველი რუსის მთავრობისაგან. რადგანაც მაშინ ყოველივე უკრაინული აკრძალული და დევნილი იყო, ლესია უკრაინკა იძულებული იყო ან[redacted]იური ეპოქა გამოეხა[redacted]ა თავის ნაწარმოებში, მაგრამ ამ ნაწარმოებში, მაგალითად [redacted]ყვე ეგვიპელის ან ებრაელის სახით, უკრაინის შვილის სულის-კვეთება იყო აღწერილი

სამშობლოს ქორწილი

ვიცოდი თუ რა იყო სიხარულის დილა;
მუდმივ სევდამ და ვაებამ გული დამიჩრდილა.
არა მწამდა, გეფიცებით, შვების გაზაფხული,—
მე მჯეროდა მხოლოდ ტანჯვა ცრემლით დათხეული.

დღეს კი, დახე, დავინახე დავინახე სახე სანუკარი:
მზის სხივებმა გაალღვიეს განთიადის კარი,
სურნელოვან ყვავილების შეკრბა თაიგული
და სამშობლოს დაუბრუნეს ძლევა დაკარგული.

და ნეტარობს დღეს სამშობლო საქორწილო კაბით,
იხმობს ყველას საზეიმოდ სოფლებით და დაბით.
ჩამოჰკარით, მეგობარნო, სახარულის ზარებს—
დღეს სამშობლოს ქორწილია—ნურვინ დაიზარებს!.

მიქელ დიანელი.

ნერვების ცეკვა

(მწვანე დღიურიდან)

სისხლით რომ შეიძლებოდეს წერა, სისხლით დავწერდი ამ სტრიქონებს...

რა ძნელია, გატეხილი, დამსხვრეული იმედები!!

როგორი მინდოდა შენი ნახვა! შენგან მხოლოდ ის მესმოდა, რომ გწყუროდა ჩემთან ყოფნა, ჩემთან ბაასი.

რამდენი მქონდა სათქმელი! დღეებს, საათებს, წუთებს ვითვლიდი.

და აი მოახლოვდა ის სანატრელი დღე, როცა შენ გნახავდი, და კვლავ განვშორდებოდით ერთმანეთს, ვინ იცის, რამდ ნი ხნით...

მე არასფერს არ ვეძებ შენში, გარდა წრფელი გრძნობისა და ქცევისა.

მწყუროდ სიფაქიზე, სიმართლე, სიწრფელე, წმინდა განცდა.

წრფელი მეგონე და შენშიც მოვტყუვდი. მახსოვს, ერთხელ გულ გატეხილს სხვაზე, ცრემლებს მწმენდდი მდინარის პირად, მანუგეშებდი:

— ნუ, ნუ, სტირი, ჩემო კ რგო, განა ყველა მაგისთანა ცივი და სასტიკია. ის არ არი ღირსი შენი მონაჭერ ფრჩხილის, არამც თუ შენი ცრემლის!

მჯეროდა, რომ შენ სხვა იყავი; მჯეროდა რომ წრფელი ხარ ყველასთან და ჩემთან. და აი სწორეთ იმ დღეს, ერთად ერთ დღეს, რომელიც ბედმა წყალობის ხელით მიძღვნა საგანგებოდა, სწორეთ იმ დღეს ვიგრძენ რა იყავი:

ცბიერი, ცბიერი, ცბიერი.

მთელი ღამის უძილო მოუთმენლად რიჟრაჟს მოველოდი.

იზლაზნებოდენ წუთები, ორკეცდებოდა საათები.

ვღელავდი, საშინლად ვიტანჯებოდი: უკანასკნელად უნდა მენახე და არც ვიცოდი იყავი ჩამოსული თუ არა!

უკანასკნელად უნდა მენახე, რომ სამუდამოდ ტკბილი მოგონება, ხსოვნა ჩამემარხა მთრთოლვარე გულში.

და, აი დილას ჩემ დობილს ჩავჩურჩულე:

— „წამო, გამომყე. წავიდეთ იქ, სადაც ის დგას, ვნახავ და მერე რაც უნდა ის დამემართოს."

მოვდივართ. მოვეშურებით. ორნი, სულ ჩუმად. ეს იყო სულ უცნობი ადგილი ჩვენთვის. აქ არასოდეს ფეხი არ დაგვიდგია. კითხავ-კითხვით მოვდიოდით, არ ვიცოდით არც გზა, არც კვალი. ერთად-ერთი აზრი ალეცხლებდა ტვინს. „ვნახავ ჩემ სანატრელს, ერთხელ კიდე ვნახავ, და სამუდამოდ წავალ." გაგრძელდა გზა. დავვცხა. მაგრამ მაინც მოვესწრაფებოდით შენსკენ.

აი, გამოჩნდა შენი ციხე-კოშკი, ბაღჩაბაღით, სადაც გადამხმარიყვნენ არამც თუ ყვავილები, მათი ღეროებიც კი.

მთის ქვეშ, მწვანეზე კუშტად გვიცქეროდა შენი სადგომი.

სისოებით უახლოვდებოდი შემოსავალ კარებს, რომელიც მაგრად იყო დაკეტილი.

გული ისე საშინლად ჭცემდა, რომ ხელის განძრევის ძალა აღარ შემწევდა.

ამ კარს უკან არის ის, ვისაც ველოდიბი ამდენ ხანს, ვინც გამეფდა ჩემს გულში, ვინაც დამიკარგა მოსვენება დაააჩქარა ჩემი მაჯის ცემა.

„ის აქ არი. ის აქ არი." იმეორებდა გულში რაღაც.

აი, ახლა გაირხევა ფარდა, და გამოიხედავს ჩვენი ფეხის ხმაზე, აი დაიჭრიალებს კარები, მაგრამ ამაოდ.

კარჩაკეტილი სახლი ზიზღით მიყურებდა.

დავღონდი, საშინლად დავღონდი.

ჩემმა დობილმა შემატყო და რამდენჯერმე დააკუნა.

ცოტა ხნის შემდეგ აივანზე გამოჩნდა თეთრად მორთულ-მოჩადრული ქალი და საშინელი მრისხანე კილოთი გვკითხა:

— ვინ, ან რა გინდათო.

ჩემს მაგივრად ისევ იმან გაკითხა (მე ლაპარაკის ძალა არ შემწევდა). როს გაიგო რომ შენთან ვიყავით მოსულნი, შეიკრა წარბები და მკვახეთ გვითხრა..

— „სძინავს, ვერ გავაღვიძებთ."

და მეტი არაფერი...

ღმერთო ჩემო! რა სიძულვილით და ზიზღით აივსო გული ჩემი მისდამი. როგორ მძაგდა ის, მთელი კაცობრიობა, ჩემი თავი, ასე ახლო ვიყო, მხოლოდ ერთი კარი მაშორებდეს და ისე წავიდე რო იქნებ ველარც-კი ვნახო!..

რა საშინელებაა.

დაღონებული, დაქანცული ფრთებ შეკვეცილი დავბრუნდი სახლში. ღმერთო, რა ახლო ვიყავი, და ვერ ვნახე მისი სახე.

გულაღმა ჩავეხვენე დივანს, შემოვიხსენი ქამარი მოღლილ წელზე და მივეცი თავი ფიქრებს.—არა, ფიქრებს კი არა, ფიქრს..

„მშვიდობით, ველარ განახავ ისე წაველ რო ვერ განახავ“ დაჟინებით ვიმეორებდი.

რამდენი ხანი ვიყავ ესე არ მახსოვს.

აი დაიწკრიალა ზარმა მესმის კარის გაღება, ნაცნობი ხმა. მე მკითხულობენ. ეს ჩემი საუკეთესო მეგობარია! ჩემი ტოლი! ჩემი კოხტა ცქრიალა გოგონა, რომელსაც თითო ჩემი გულის მოძრაობა ესმოდა, მოვიდა სწორეთ იმ დროს, როდესაც უიმედობამ დასწვა ჩემი სული.

ეს რაღაც განგებაა. გამიელვა უცებ აზრმა.

გაშმაგებით ვკოცნი ჩემს პატარა მეგობარს და ლამის არი დამავიწყდეს ჩემი შეურაცყოფილი გრძნობა. ცოტა ხნის შემდეგ ეშმაკური ღიმილით მეუბნება: „წამო, წავიღეთ, გავიაროთ, აქ რას აკეთებ, რო იცოდე რა მშვენიერი დღეა. რათა გაქვს ვგეთი დაქანცული სახე?“ —ჭიკჭიკობს ჩემი მეგობარი.

„ჩქარა, ჩქარა წავიდეთ, მელიან.“

ვიცვავ მივდივარ. ავტომატიურად მივყვები და არც კი ვიცი სად.

გული კი რაღაცას გრძნობს, და საშინლად მიცემს.

მოვიკრიფე ძალ-ღონე და ვკითხე:

— „რას ნიშნავს შენი ეშმაკური ღიმილი?

მომიახლოვდა და სიცილით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მეუბნება:

— „იმან გამომგზავნა! გელის! სწყურია შენი ნახვა! სულ შენზე ლაპარაკობს. ძალიან უყვარხარ!“

ღმერთო ჩემო! ნუ თუ მართლა! რა ბედნიერი ვარ! რამდენიმე წუთის წინად სისხლ გამშრალი ახლა ისევ მძლავრად ხან განვიცდიდი სიცოცხლეს, ბედნიერებას, სიყვარულის წყურვილს, და მივეჩქარებოდი.—

და, აი, შეგვხვდი. შენი გამხდარი სახე, რაღაც გამოცვლილათ მეჩვენება. შენი თვალები არასფერს არ მეუბნებიან, თუმცა ბრწყინავენ, ოდნავ ვგრძნობ შენი ხელის ჩამორთმევას.

დავრჩით მარტო. გაჩუმებული, მოწყენილი, და ცივი იყავი.

ავტომატიურად, შევედით ბაღში, რად, რისთვის.

ერთ ცარიელ სკამზე დავსხედით. რამდენიმე ხანს გედების ცურაობას ვადევნებდით თვალს, მერე ყვავილებს ვშინჯავდით, უსმენდით სიჩუმის სამარისებურს სუნთქვას, და ბოლოს ისევ მე დავიწყე ლაპარაკი.

რამდენი რამე მქონდა სათქმელი და სულ დამავიწყდა! რათა?

ლაპარაკი არ ეწყობოდა. ჩვენ-შუა ჩაწყდა გამაერთებელი სიმი, სიმები წინანდელ სირწფელისა, რომელნიც გვაერთიანებდენ.

შენ ამოიღე და მაჩვენე ჩემი მეტოქის წერილები. შენ იმის ვითარებაში იყავი, შენ იმაზე ლაპარაკობდი, რომელმაც ხაფხული შენთან გაატარა.

ღმერთო ჩემო! მაშ რაღა იყო ჩემდამი? რა დარჩა ჩემთვის შენ გულში.—არაფერი!

სიბრალული,..

არა!არ მინდა! მე ამაყი ვარ,და სიძულვილი მირჩევნია მაგისთანა! გრძნობას მაშ რას ნიშნავდა ის წერილები ცელქი ნიავივით რო მოჰქროდენ ჩემკენ და სუნთქვას მიხუთავდენ?რას ნიშნავდა ის ფიცი,ის ნაქარგი გრძნობა, ის ჩამოთვლილი წკრიალა აკინძული სიტყვები, რომელნიც მუსიკალობდენ ჩემ სმენაში უძილობის დროს!-.

მარიჯან

(დასასრული იქნება)

ისტორიკოს-არქეოლოგი
თედო ჟორდანია

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. დღეს, ღვინობისთვის 22 დიდუბის ტაძარში მისი წირვა-პანაშვიდია.

ტალღები

—

ფერად ქვიშა—სილაზე
კენწლაობენ ტალღები,
კენწლაობენ, ცმუკავენ,
როგორც გრუზა ბალღები;

—

კენჭაობენ, ცელქობენ,
ახარებენ მშობელსა
და კისკასურ ჰანგებით,
ჰქმნიან საგალობელსა.

გ. ქუჩიშვილი

ა ღ ზ ღ ე გ.

ნეტა როდის შემოკრბები
ერთ დროშის ქვეშ საქართველო,
რომ სიამით დასტკბებოდე,
გაზფხულებრ საყვარელო!

—

შეჰხაროდე ახალ ყვავილს,
გულში გცემდეს ძლევის ზარი,
რო შეიქმნე ყველასათვის
სასახელო, სანუქვარი.

გაიოზ იმედაშვილი

ქალი-გველია

თუ ნახოთ ხვრელი
და ხვრელში მხვრელი,
შიშისა მგვრელი,
წიწილა გველი,—
ქალი დაარქვით,
შამფურზე აცვით,
ცეცხლზე დაასვით,
დაჭკნით, დასწვით,
გველის წიწილი,
ეშმაკის წილი,
ზრდილი და წვრილი,
კოცნაში წრთვნილი,—
ოხ. საშიშია,
მას სისხლი შხამშია.
ფიქრობ ხვრელშია,
ის კი გულშია.
ევლება ვნება,
თბილ სისხლით თვრება,
სიცოცხლით სტკბება,
ტანს კანი სძვრება.
ტანკან-გამძვრალი,
სისხლით დათვრალი,
მოგეჩვენება
ვით სათნო ქალი.
აწრიალდება,
აშრიალდება,
მსწრაფლ გაალდება
და გაქალდება.
გაქალებული,
გაალებული,
გამშვენებული
გაშმაგებული,
მოვა და გნახავს·
ღმერთად დაგსახავს,
შემდეგ დაგძრახავს,
დაგწვავს, დაგმარხავს.
ნაზად და კრძალვით,
ტრფობით და ალვით,
თავს შეგაყვარებს;
ჩუმათ და მალვით
მოგეკარება,
მოგესალმება
და სატრფიალოთ
მოგეპარება.
შენ გეგონება,
რომ გემონება,
არ მოგშორდება
და გეყოლება.
გულსა გაუშლი,
ვნებას აუშლი,
რომ შიგ ჩაყუჩდეს,
აღარ დაუშლი
სულში ჩაგწვდება,
გული დაგწყდება
და შეყვარებულს
დაგავიწყდება:
გველისა ცალი
რომ არის ქალი
და ქალი არის
გველი-ნაცვალი.
როს ის ნელდება,
ქალი გველდება;
როს ეს ალდება
გველი ქალდება.
განელებული,
გაგველებული,
გაალებული,
გაქალებული,—
ორივ ერთია,
შმაგი ღმერთია,
სიკვდილ სიცოცხლის
შე აერთია.
გველი კანს იცვლის
და ქალი კაბას
ორივე ცდილობს
ქსელი გააბას.
ვნახე ქალწული
თმა ჰქონდა წნული,
დაწნულ შავ თმაში
გველი ჩაწნული.
ოხ! იყო ღამე,
მიველ დავნამე,
ტრფობა დავწამე,
კოცნა ვაამე.
ყელი ვით ბროლი,
მკერდი კი მკრთოლი,
და ბროლის ყელზე
გველისა რგოლი.
მკერდზე მას ორი
და თანასწორი
მკერდის შვენებათ
გულის კოკორი.
ვით უცხო ხილი,
მოზრდილი თხილი,
იმ ორ თხილ შუა
ნაზ ღარი თხრილი.
ისე თლილიყო,
ისეთი იყო,
რომ გულმა ნახვით
ძგერა დამიწყო.
ნაპერწკალითა
ანთებენ აბედს,
და ტკბილ სიტყვებით
უბედურთა ბედს,
სული მას უქე,
გული ვაჩუქე,
მაგრამ ავსული
ვერ გავაშუქე.
თვალი განაბა
და მითხრა: „აბა“.
ქსელი გააბა
და შიგ გამაბა.
ჯერ შემიყვარა,
შემდეგ ივარა
და ახარხარა
და მითხრა: „არა“.
ბევრი ვიტირე,
შემდეგ შევწივლე,
წივილ სიცილით
ასე შევჩივლე:
„ოჰ! რად მისმინე,
რად გაიცინე,
და სიყვარული
რად გამიჩინე?“
რა ეს ისმინა
ბევრი იცინა,
არ მომითმინა,
ტუჩზემიკბინა.
და გასრიალდა.
და გატიალდა·
ერთიც შემხედა
და გატრიალდა.
შხამში ჩაუწე კალამი
და თალხიანი სალამი,
მიუძღვენ
უკანასკნელად სამი.
ცავიდინე თვალსა წყალი,
და ვტიროდი მე საწყალი:
უბედური, განაწვალი,
რისთვისა ვარ
ბედ გამწყრალი?
არსიდან ხმა არ ისმოდა,
ან და ვინ რა, რა იცოდა,
თუ ეს გული რად სტიროდა
რად წიოდა, რად იწოდა!
ვერ ვტოვებდი მე იმ ადგილს,
სად ვერ მიგწვდი
მე ჩემს წადილს.
ვერ გხედავდი
ნაზად გაზრდილს,
დავუმღერდი იმის აჩრდილს
აჩრდილს ჩრდილი გადაეკრა
გადალობა, გადამესრა.
იმ ჩრდილს გლოვა
გადაეცა-რა,
გულში ჩამწვდა
და ჩამეკრა.
ჩრდილი აჩრდილს მაგონებდა,
მატირებდა, მალონებდა:
იმის სახეს მავიწყებდა,
აქრობდა და მაშორებდა.
მითხრა: „შენი შეოცება,
რომ ის ქალი გელოცება,
დაივიწყე, შემიყვარე.
სიყვარული გელოდება.“

უპასუხე: მეხარება,
რო კვლავ ვინმე მეყვარება
მაგრამ რა ვქნა, მეპარება,
შენზეც ეკვი მეპარება
ერა.. არ მაქვს მოთმინება,
მე მწყურია მოსვენება,
დაგივიწყო მომე ნება,
ვიცი: შენ ხარ მოჩვენება
შენ ხარ სული სული სული
ციდან მიწად ჩამოსული.
მაგრამ რა ვქნა,
ვარდიც რგული,
ვნახე ეკლდ ამოსული.
ქვეყნად არის ქალის ვალი
სილამაზის იყოს თვალი.
ვით ბეკეედზე მარგალიტი
ზურმუხტი და ან და ლალი
სილამაზეა ძვირფასი,
სიყვარულმა იცის ფასი,
უსხვერპლია ემსხვერპლება
გული, ერთი თუ ათასი.
მაგრამ თუა უგძნო სახის
თამარ მეფის ან და ხატის,
ვაჟსა მაინც ვერ მოხიბლავს
თუნდაც იყოს ანდამატის.
იმ ქალმა კი მე მომხიბლა,
„გაგიმარჯვე". დაიძახა,
და ის გული ამ ჩემ გულში
დაიმარხა, დაითალხა.
მაგრამ ერა, დათალხული
გაჩნდა ქალად დასახული,
ჯერ თვალთაგან არ ნახული
ვით ახალი გაზაფხული.
იწყო ელვა,
ქსელის ქსელვა,
მძლეთა ძლევა,
კრთოლვა, ღელვა,
გულის ალვა,
ტრფობის მალვა,
თვალის ნამვა,
ტოკვა, კრძალვა.
მკერდზე ქილი
ჩამოქნილი,
ქილს ღილი და
ტუჩს ღიმილი.
აეშუქა,
დაეშუქა,
შემახედა
და მიჩუქა.
გამიხარდა,
შემიყვარდ
და თან მითხრა:
„ჩემი ხარ და"...
ანიავდა,
აიავდა..
„იას გავდა
ია გახდა.
დაამწვანა
ჩემი ეზო
და უთხარი:
ანგელოზო!
ვარდი დავრგოთ,
მით გულს ვარგოთ.
სიყვარული
არ დავკარგოთ
და შევერთდეთ,
ჩვენს ღმერთს შევსწვდეთ,
კოცნით შევცდეთ,
ტრფობით შევხვდეთ.
ერთად ვიგრძვნეთ,
ერთად ვიყვეთ
კუბო შიაც
ერთად ვიწვეთ.
არ გავიყოთ.
კარგად ვიყოთ.
და სიკვდილი
დავივიწყოთ.
გავირიყოთ,
ვიარშიყოთ,
ვიმღეროთ და
კვლავ დავიწყოთ.
სიყვარული
დავაფასოთ...
თვით სიკვდილი
გავაფასოთ.
ვარდნი ლებად
დ ვიფინოთ,
ზე ვიცელქოთ,
დავიძინოთ.
რაც რომ ვიგრძნოთ,
დავისიზმროთ,
და სიზმარში
ჩავიძიროთ...
რაო? მკითხა:
რა გსურს შენა?
და მაშუქა, გამამშვენა,
და პირველი სიყვარული,
მომაგონა, გამახსენა.
ჩამაფიქრა, დამამწუხრა,
მომაჩვენა ის ქალწული
და მის თმაში იგი გველი
საშვენებლად შიგ ჩაწნული
ოხ, ნუ მკითხავთ თურმე იგი
ის გველია ის გულ შმაგი..
ვინც მეგონა
და მგონია
სიყვარულის
მე გუშაგი.
გამახელა,
გამანელა,
და მოცურდა
ნელა, ნელა.
გესლი დასწვა,
ტუჩზე დაფქვა,
შემომხედა
და ასე სთქვა,
,,მე ვარ ის,
სახე ღვთის
და მთვარის
დამწვარის,
რომლის წინ
ყველა წრის
ცრემლებს ცრის
ჭკოთის და ძრწის.
ხომ გახსოვს,
ქალწული,
მის თმაში
ჩაწნული
ის გველი
შიშ-მგვრელი,
ჩამწვართა
ამგველი?
მე ვარ ის.
ხომ გესმის?
ჰკითხე მას
ის გეტყვის.
როს გლოვდი,
ცრემლს ჰთოვდი,
მე მაშინ
სისხლს გწოვდი.
ეს გული
გაგულე,
ის კი შენ
გაძულე.
მე მახე
დაგიგე,
გველი ვარ
გაიგე"...
გავიგე...
გველად გაჩნდი,
იმას ჰგავდი,
რომ გეტანჯე
ქალად გახდი.
ნელა ცოცავ,
ეშმაკს ლოცავ,
შეყვარებულს
სწვავ და ხოცავ.
სიყვარულმა
არ ივარგა..
აიბარგა,
დაიკარგა...
კიდევ მნახა
დამიძახა:
„საყვარელო
ვინ დაგძრახა?
ახ,ხა ხა ხა
ახ! შე გლიახა
რა, გატირებს,
ვინ გაგლახა?
დამამცირა,
ტრფობა მიწყო
და თან ენა
გამომიყო.
სისხლი გაშრა..
თითქოს გაწყრა
და იმ ენით
გულში დამჭა.
ტკივილსვ გრძნობდი,
მიველ მივწვდი..
და უთხარი:
შენ მომიკვდი

—

ოხ ჩემო ქნარო!
ცრემლადა მდნარო,
ტკბილო და წყნარო,
ნუგეშის წყარო!
ის დავივიწყოთ,
სიმნი ავიწყოთ
და სხვა სიმღერა
სხვაფერ დავიწყოთ.

დავით კოპალი.

(დასასრულ იხ. „თ და ცხ. № 40)

ათასჯერ მეპატიებინა... მაგრამ ჰანესი!.. ჰანესმა იცის თავისი თავის ფასი, მე, უბადრუკარსებას, რა შემიძლიან ვაპატიო?.. ყველა უსიამოვნება ამაზე იყო აგებული: შენ ასეთი ხარ და ისეთი, მე თვითონ კარგად ვიცი რაცა ვარ და რაც მაკლია (გარედან ყვირილი მოისმის ა!.. ო!..)

ფრ. ფოკერატი. კეტე, იცი რას გირჩევ? მოდი წავიდეთ, ლოგინში მოგასვენებ და წაგითხავ რასმე. ვიდრე დაიძინებდე გრიმის ზღაპრებს წაგიკითხავ არ გინდა? ხვალ-დილა ადრიანათ სუფს პეპტონით *) მოგიხარშავ მერე ბაღში წავიდეთ, მშვენიერ ღარს აპირებს, და მაშინ ეგ შავი ფიქრები სულ დაგეფანტება, სულ სხვა გუნებაზე დასდგები... წავიდეთ, უსათუოთ წავიდეთ!..

ბრაუნი. (შემოდის შუშაბანდიდან) საღამო მშვიდობისათ!

ფოკერატი. საღამო მშვიდობისათ, ბატონო ბრაუნ!

ბრაუნი. საღამო მშვიდობისათ ბატ. ფოკერატ! (ხელს ართმევს) იოჰანესი აქ არი?

ფოკერატი. მაღლა იქნება.

ბრაუნი. როგორ, ნამდვილათ იცით?

ბ. ფოკერატი. დიახ, მგონია იქ უნდა იყოს, არა მართა?

ბრაუნი. ავალ და ვნახავ! (გადის შემოსავალ კარებში).

ფრ. ფოკერატი. (ცოტა აღელვებული) რა დამართვია ბრაუნს?

ფრ. კეტე. (შეშინებული და აღელვებული) იოჰანესი... მაშ არ იცით სად არის ჰანესი?

ფერ. ფოკერატი. ნუ ღელავ კეტე! სად უნდა იყოს?.

ფრ. კეტე. იქნება წავიდა სადმე?

ბ. ფოკერატ. მაღალა იქნება, რასაკვირველია, მაღლა იქნება?

ბრაუნი (ბრუნდება. ერთ წამს ყვედანი საშინელ ლოდინში არიან)

ბ. ფოკერ. რაო, ბატონო ბრაუნ?

ბრაუნი არ არის ბატონო ფოკერატ, მაღლა არ არის და... და.

*) პეპტონი ცილის მაგვარი ნივთიერებაა.

ბრაუნი არ, არაფერი, არაფერი...

ფრ. კეტე (საჩქაროთ ბრაუნთან მიდის) რაღაცა მოხდა!.. თქვენ იცინით!..

ბრაუნი არა, არა გარწმუნებთ! საშიში არაფერია... მხოლოდ ამას კი ვგრძნობ, რომ ჯერ ხანად იოჰანესის მარტო დატოვება ყოვლად შეუძლებელია. წეღან, თქვენს სახლს რო უახლოვდებოდი... მაგრამ არა, ეს არაფერია!...

ფრ. ფოკერ. რა იყო? თქვით, ღვთისგულისათვის!..

ბ. ფოკერ. თქვით ჩქარა, თუ ღმერთი გწამთ!..

ბრაუნ. არა, ისეთი არაფერია... ის უნდა მეთქვა: ბაღის პატარა კარები რო შემოვაღე, მაშინ შევამჩნიე, რომ ვიღაცამ ნავი აუშვა, ჯაჭვმა ჩხარუნი დაიწყო; როდესაც მიუახლოვდი, დავინახე რო, ის ვიღაც კაცი იყო უკვე მისცურავდა.... აზრათ მომივიდა... შევუძახე კიდეც, მაგრამ იმან, ვიღაცა იყო, ხმა არ გამცა.. იოჰანესი კი რომ ყოფილიყო უთუოთ გამომიმეძრახებოდა.

ფრ. კეტე (გიჟივით) იოჰანესი!.. დიახ, ის იოჰანესი იქნებოდა!.. გაიქეცით, გაიქეცით, თქვენი ჭირიმე! გაიქეცით ჩქარა! მამავ! დედავ! თქვენ მიიყვანეთ სასოწარკვეთილებამდის! რათ ჰქენით ეს, რათა?

ფრ. ფოკ. კეტე!

ფრ კეტე მე ვგრძნობ, რო ის თავს აღარ იცოცხლებს!. მე ყველაფერს ვიკისრებდი, ყველაფერზე დავთანხმდი ოღონდ კი ეს არ მომხდარიყო

ბ. ფოკერ. (საჩქაროთ გადის ბაღში და თან ნაწყვეტ-ნაწყვეტ იძახის: იოჰანეს, ჰანეს, ჰანეს!...

ფრ. ფოკერ. (გამოსავალ კარებში მირბის და თან ჰყვირის: იოჰანეს, ჰანეს, ჰანეს!..

ფრ. კეტე (ბრაუნს) თქვენა სთქვით რომ მამაკაცი იყოვო, არა? ეძახდით, უყვიროდით!. ის კი არ გამოგეძრახათ!? გაიქეცით, გაიქეცით ჩქარა!. (ბრაუნი გადის).

ფრ. კეტე. (მისძახის) მეც.. მოვდივარ (თითებს იმტვრევს) ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ნეტავ ერთი ეხლა გადარჩეს!

ნეტავი გააგებინა რასაც ეხლა ვეტყოდი!.. (ბრაუნის ეკირიდი ხმის: ოჯანეს ეძახის)

ფრ. კეტე (შემოსავალ კარებში სდგის და ეძახის) მინა! ა მინა! ფარანი წამოიღეთ ბალში! ჩქარა, ფარანი! უნდა ვერანდის კარებში გავაჩერდეს, დაინახავს სტოდზე ბარათს. უცბად გაქვავდება. მერე მივა კაბედუალთ ალიდების ბარათს, ეკითხვა... და გაქვავდება რამდენიმე წუთის შემდეგ დაეცემა)

ფარდა.

ივ. გომელაური

20 აგვისტო 1914 წ. ლ. ბიათური

ვინ გაიმარჯვებს?

საქმეთ ის გაიმარჯვებს, ვინც ტოტას დაბარკობს და ბევრს შეშლობს ბორიკრად. მართალი ის არის და სიმარდლეც მისკენაა, ვინც უკულტურო დემაგოგ მოწინააღმდეგეებსაც-კი კულტურულად ებრძვის და ამარცხებს კიდეც.

ბევრი წამება, ბევრი დევნა და შევიწროება გარეგიცადეთ ჩვენი იდეისათვის ოვით ჩვენი უდიერ ძმებისაგან, თვის ტომის დამგმობ მოსურნეთაგან, მაგრამ სასოწარკვეთილებას ერთხელაც არ მივცემივარო. უიმედობა ერთხელაც არ მიგვიკარებია ახლოს, რადგანაც ადრევე ვიცოდით ჩვენი გზები ია და ვარდით არ იყო შემკული, სწორედ ეკლიანი გზების მკაფელად გამოვედით და არც გვაშინებდა მოწინააღმდეგეთ უსამართლო სიძლიერე. ტანჯვით მიეწევდიო წინ კვლავ ბევრი ტანჯვა მოგველის მაგრამ რწმენა მაინც არ გვდალტობს და გვჯერა რომ, სასურველ საწადელს მივაღწევთ. ჩვენ ბეწამს ჩვენი სამართლე, ვიბრძვით ჩვენი ერის თავისუფლებისათვის და ვიბრძოლებთ გამარჯვებამდე, არა არა მარტო სიტყვითა საქმითაც...

ბევრ ჩვენგანს სწამს და სჯერა, რომ ერთგული საკითხის წამოყენებამ ძალა დაქსაქსა, რუსეთი დალუპვის გზაზე დაუყენა და თავისუფლებასაც საფრთხეს უმზადებსო. სრულიად სუსტი გონების უნდა იყოს ადამიანი, ეს რომ სინამდვილად მიიჩნიოს.

აბა, რომელი ერი არ არის დღეს თვით გამორჯვების გზაზე დამდგარი, აბა რომელი ერი არ ითხოვს და დაეძებს თვისას? თუ ეგეულ თავისასას, დალუპვას ეოველ სიკეთეს და თავისუფლებას?!.

რაა რისთვის?

თავისუფლება თუ არის ხომ ეველას უნდა მიეანიჭოს მის სასურველი უფლებები?

განა ტოტა ხანია მას შემდეგ, რაც ქართველი ერი დასტირდა უცხოთაგან ფეხ-ქვეშ გათელილ უფლებებს? განა ცოტას იბრძოდნენ თავისუფლებისათვის? განა ტოტა სიამედო შვილები მოაშორეს სამშობლოს მატოცხლებერ ჭეარს, იმისათვის რომ მის ერის უფლებებზე ხმას იმაღლებდნენ! ესოდენ ტანჯვა ძიების საგანი ხომ ჩვენი ერის თავისუფლება იყო და ნუ თუ დღეს, როდესაც თავისუფლების ხმა მკაფიოდ გაისმის ეოველგან, ჩვენ უნდა დავკარგოთ ჩვენი ძიების საგანი, ჩვენ უნდა დავდუმდეთ სრულიად, არ ამოვიდოთ ხმა და მზა-მზარეულს მოგვრომეენ, როდესაც თავიანთ საქმეს მოაწყობენ და მოაგვარებენ!

ნეტავი როდის იქნება, რომ თავისუფლება თავვეის ნებით გვიბოძონ და მით გავბედნიერდეთ! მგონი არც არაოდეს.

დაბირება ბევრი გვსმენია, მაგრამ სიტყვის მიღწევის მოწმე ერთხელაც არ გამხდარვართ სამწუხაროდ.

წარსული რომ დავიეიწყოთ ამ სამი წლის ომმა რამდენი უბედური შეემთხვა საქართველოს: კვნესა ტკივილი სიმშილ-წყურვილი, სისხლი და ცრემლთა ღვრა. ნუ თუ ეოველივე ეს ომის წყალობით არ არის?

აგვიწიოკეს, ოჯახები დაგვიდუპეს, ჩვენი ტანჯვით გამოზდილი შვილები სადღაც უცხო მხარეში, უცხო ეგვა-ეორანთ საკორტნად დაგვიყარეს. და ჰკითხეს რამე კი, ქართველ ერს, როდესაც ასეთი მძიმე მოგზაურობისაკენ იწვევდნენ?! არა! ან ეხლა რას ვდებულობთ დიდი მსხვერპლის სამაგიეროდ, რით უნდა ავინაზღაურონ დანაკლისი?

მოელი ჩვენი ძალა და სიცოცხლე სიცოცხლე სხვების შეავლიოთ და ჩვენ მაინც მონები ვიეოთ?

სირცხვილია, არ შეგვეერის ესოდენი ქედმოხრილობა. მოვიკონოთ ერთხელ მაინც დიდი მგონების სიტყვები:

«მონას რათ უნდა კოული სიცოცხლე»
ვისთვის ანთია წმინდა ალმური,
სჯობს მონობაში გადიკეცებლს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი ო.

ჭეშმარიტად, თავისუფლების ძიებაში უნდა ვირჩევდეთ სიკვდილს, ვინემ მონობაში სიცოცხლეს.

იბრძვიან უგულანი თავიანთი ეროვნების უფლებისათვის და ვიბრძოდოთ ჩვენც და გვწამდეს გავიმარჯვებთ.

კლავდია გაბუნია

ელენე სოლომონის ასული ბილანიშვილი

დამფუძნებელი თბილისის გამაპირა (ლარიბთა) უბანში (ნაძალადევში, ლოჭკის გორაზე) სრულ-უფლებიანი 8 კლასიან გიმნაზიისა. გიმნაზია მოთავსებულია მაღალ ადგილზე, მოხდენილი ოთახებია; მრწვეული ჰყავ-საუკეთესო იდეური მასწავლებელნი. გიმნაზია აკურთხეს გასულ თვეში მოწაფეთა, მშობელთა და მრავალ ხალხის თანადასწრებით. სიტყვები წარმოსთქვეს გიმნაზიის მასწავლებელმა მეფერეშმა, ქალაქის ხმოსნად ნამყოფმა ქსაგერიევმა და იოსებ იმედაშვილმა, რომელთაც დაასურათეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა მდაბიო ხალხისა და ამ გიმნაზიის დაარსებაში ელ. სოლ. ბილანიშვილის ამაგი.

ქარაგმები

1. ბრძოლა.

ცეცხლის დელგმაში სპათა ლანდები,
ზღვის ტაფობიდან ტყვია თქეშური,
ღრუბლის სრბოლაში შხამ-ქამანდები,—
ომის ტრფობიდან მომფეთქე შური!
ბრძოლა სხვა ხელის იარაღებით
ზის ამ ორ ძალად ჩაუქ ჰუნეზე,
სისხლის სახელის იარს აღებით—
მზის ამორძალად საუკუნეზე!..

2. გარდაქმნა.

ძველის დაქცევა უახლობაში,
ქარაშოტული უგზოთ ყიალი,
გველის გაქცევა ყრუ სახლობაში
და ბოროტული ოროომტრიალი.
ტანჯვის რვეული წითლად ფარჩული,
ძნელ გასაჭრზე ზანტი მთქნარება,—
ბოლოს რკვილი სახის სარჩული,—
სიკვდილის პირზე ზღვის დაწყნარება!

3. განსვენება.

ნელის შენებით კოშკი მთვარული,
ზეხელოვნების ბრილიანტობა,
მშვიდ განსვენებით მძლე სიყვარული
და გემოვნების ანდამანტობა.
ქვეყნად მყარდება აუხდენელი,—
მზემ განცხრომაში მოქარგა შვება,
მაგრამ... მზარდება აუცდენელი—
დღის განწყრომაში სულის გაშვება!

4. კითხვები.

ეს იყო ყველა? ვინ გვეძახოდა
გამოლმა ხევით გალმა ყოფილებს?
ვინც გვამეტყველა, რას გეზრახოდა—
სულს ამ ნახევით აკმაყოფილებს?!.
ნუთუ ღმერთია სიბრძნის ვარდებში,
რომ შეგვიყვარდა ყოვლის მჩრდილავი?..
ნუთუ ერთია კიდევ ფარდებში—
მზე ხილულს გარდა—მზე უხილავი?!..

შალვა კარბელი.





ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

„ᲟᲣᲠᲜ. თეატრი დაცხოვრების“ სასარგებლოთ დარია ახვლედიანის თაოსნობით ღვინობისთვის 9 გაიმართა საღამო ქართულ კლუბის დარბაზში. მიუხედავათ ცუდი ამინდისა საღამოს დიდძალი ხალხი დასწრო, დარბაზში ტევა აღარ იყო. საღამო მრავალ-ფეროვანი აღმოჩნდა და ყოველმოდინს კვალაწარბა. პირველ განყოფილებაში შალვა დადიანმა წაიკითხა საინტერესო მოხსენება „თეატრი და ცხოვრება“; მეორე განყოფილებაში ვენმა მგოსნებმა: გ. ქუჩიშვილმა, თავაშალიშვილმა, დარია ახვლედიანისამ და ქნარმა წაიკითხეს თავიანთი ლექსები, რითაც საზოგადოებისაგან დაუსრულებელი ტაში დაიმსახურეს. დარია ახვლედიანისას მიართვეს ტოტხალი ყვავილები კალათით ავაკისა და თავის საკუთარი ლექსი წარმოსთქვა ვარდენ ეთეთიანმა. რისთვისაც საზოგადოებამ ტაშით დაჯილდოვა. მესამე განყოფილებაში საოპერო მომღერალმა ვარდენ ლორდქიფანიძემ შესრულა ოპერა „ლალატიდან“ სულეიმან ხანის საგალობელი (ოსეფ იმედაშვილის თარგმანი), რამაც საზოგადოებაზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საზოგადოების თხოვნით მან კიდეკ შესრულა რამდენიმე ქართული რომანსი. საზოგადოებამ სანგრძლივი ტაშით და ყვავილებით დაჯილდოვა მომღერალი. თბილელმა მეჭიანურემ და მეთარემ სანდროებმა დაუკრეს თარი და ჭიანური. შემდეგ ჭაზირამ თავის დასტით იმღერა „უბედური კაცი“ და „მარტის თვე“ რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია. ვასო აბაშიძემ და ნიკო გოცირიძემ თავისი მხიარული კუპლეტებით ბევრი ატინეს საზოგადოება. ნიკო გოცირიძემ პროგრამის გარეშე წარმოსთქვა სომხური სცენა. და ბოლოს საკანგებოდ მიწვეულ ეიურნალ თანადასწრებით რომელშიაც შეიკრიბნენ: ვ. აბაშიძე, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, მხატვარი ლ. გულიაშვილი, მგოსანი ი. გრიშაშვილი, მწიგნობარი ს. ქვარიანი და ეურნალისტი ს. წერეთელი, გაიმართა ცეკვა. ბრიზი მიესვა: ელო ანდრონიკაშვილს და და ბ-ნ ბახუტაშვილს.

ᲯᲘᲚᲐᲚᲘ

ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ—ᲞᲐᲚᲐᲡᲨᲘ

შაბათს, ღვინობისთვის 14 ადელხანოვის ქარხნის მუშათაგან შემდგარმა ქართულ სცენის მოყვარულთა წრემ წარმოადგინა პ. ირეთელის 5 მოქ. დრამა „დამარცხებული“. კარგი იყო ბ. მირველოვი (ბადლანიძე) და ქ. რჩეულოვისა (ელისაბედი), ქ. მარგველაშვილმა მშვენიერათ შასრულა ქეთო, ხოლო ბ. გოგაშვილმა ნიკო. ბ. სალაყაიამ (მოსამსახურემ), ბევრი ატინა საზოგადოება. არაუშავდარა ბ. გულიაშვილს (მიშა) ბ. მჭედლიშვილი (ვანო) ძალიან სუსტობდა, არ უნდა ეკისრა ესეთი საპასუხისმგებლო როლი. დანარჩენები სუსტობდნენ, პიესას მოუზადებლობა ეტყობოდა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აპოთეოზი. ბ. ო. ნასიძემ საზოგადოებას აუხსნა პიესის შინაარსი. წარმოდგენა გათავდა 1 საზ

შ—ი



ᲬᲐᲠᲐ-ᲥᲘᲗᲘᲡᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

სოფ. ხაშმის ქ. შ. Ყ. Ჯ. გ. სა ის განყოფილების კრება ღვინობისთვის 16 გაიმართა კამგეობის თავმჯდომარის ოსეფ იმედაშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ კამგეობის წევრნი: იუ. ოსე ბაქრაძე, დავ. Ჯ. ნასუტრიშვილი, შდ. იუ. ხაბაზიშვილი, დავ. ზუკაკიშვილი, განყოფილების წევრნი და მრავალი სხვა. თავმჯდომა-

რემ კრებას განუმარტა საზოგადოების დაფუძნების თავგადასავალი, ქ. შ. წ. გ. საზოგადოების მნიშვნელობა და ნაღვაწი, ეროვნულ სწავლა-განათლების და პრაქტიკულ ცოდნის გავრცელების აუცილებლობა, საეროვნულთა-სავალდებულო სწავლის შემოღების საჭიროება, მოიგონა, რომ ხალხმა ორი მტერი—ბატონ-ყმობა და თვითმპყრობელობა უკვე მოიშორა, მაგრამ მოსაშორებელი დარჩა ერთი საზარელი მტერი—სიბნელე ხალხისა, გაუნათლებლობა. თუ ხალხი განათლების გზას არ დაადგა, სახელმწიფო ცხოვრებაში შეგნებულ მონაწილეობას ვერ მიიღებს და მუდამ სხვის მონა-მორჩილი იქნება, და ბოლოს წაუკითხა წ. კ. ს. მთავარ-გამგეობას მოწერილობა, რომლითაც თხოულობდნენ რწმუნებულების არჩევას. კამათში მონაწილეობა მიიღეს დიმ. ჭიაბრიშვილმა, ალ. ნიკოლაშვილმა, დავით ნახუცრიშვილმა, ივ. ბაქრაძემ, ვანო ქოქრაშვილმა, მღ. ივ. ხაბაზიშვილმა, კ. ნახუცრიშვილმა დ. ზუკაკიშვილმა, სოლ. მეხაშიშვილმა, გაბო ინაშვილმა, მართა ნახუცრიშვილისამ, ელო ნიქოზელიძემ და სხ. მოლაპარაკეთა ერთმა რიგმა დაჰგმო არსებული წესი სწავლებისა, მეორე რიგმა მოითხოვა წიგნთსაცავის სახელზე გამართულ ყოველ-გვარ წარმოდგენების შემოსავლის გამოკვლევა და სხ. გამგეობამ აღუთქვა ყოველივე ნაკლის შეძლებისა და გვარად გამოსწორება. კრებაზე ჩაეწერა ოცდაათზე მეტი ახალი წევრი და ხვედრი გადასახადიც შეიტანა. კრებამ ახალ წევრებს ნება მისცა არჩევნებში მონაწილეობისა. რწმუნებულებად არჩეულ იქნენ: დავ. ზუკაკიშვილი, იოსებ იმედაშვილი, კ. ნახუცრიშვილი, დავ. გ. ნახუცრიშვილი, მღ. ივ. ხაბაზიშვილი, პეტრე ლადიძე, ივ. მაისურაძე. კრებამ ფრიად წესიერად ჩაიარა.

საბედნიეროდ ჩვენი სოფლის ხალხი ცოდნის დიდ წყურვილს იჩენს და ყოველ კულტურულ საქმეს დიდის ხალისით ეპყრობა. გაუმარჯოს მათ მიზანს.

დამსწრე

მადლობის გამოცხადება

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" ისეთი ბრწყინვალე საღამო არ ახსოვს, მის სასარგებლოდ ღვინობისთვის 9-ს ქართულ კლუბ· რომ გაიმართა. მონაწილენი და მრავლად დამსწრე საზოგადოება თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, რაც შეიძლება საღამოს მხიარულად და სასიამოვნოდ ჩაევლო. ჩვენი მწერალი ქალის დარია ახვლედიანის მეცადინეობამ უქმად არ ჩაიარა და საღამო ღირსეულად დაგვირგვინდა.

საღამოში სრულიად უფასოდ მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა მცხოვანმა მსახიობმა ვასო აბაშიძემ, სახალხო სცენის დაუღალავმა მოღვაწემ ნიკო გოცირიძემ, ახალგაზრდა მომღერალმა ვარდენ ლორთქიფანიძემ, მგოსნებმა გ. ქუჩიშვილმა, ს. ფაშალიშვილმა, დარია ახვლედიანმა, ქნარმა აგრეთვე ვ. ყიფიანმა; ჰაზირას დასტამ თუმცა მცირე გასამრჯელო აიღო, მაინც შეპირებულზე მეტ ხანს დაუკრა და იმღერა, რითაც მეტად ასიამოვნა საზოგადოება; მოცეკვავენი მოხდენილად ცეკვავდენ, რის გამო ყველა დაჯილდოვებულ იქმნა მხურვალე ტაშით. ცეკვაში მონაწილეობდნენ: ელო ანდრონიკაშვილი, ალექსიძე, ბ-ნი ბახუტაშვილი, თამარა ჭავჭავაძის (პატარა გიორგის (ასული, ფანიაშვილი და სხ., ელო ანდრონიკაშვილმა და ბახუტაშვილმა გადაკვეთილი ჯილდო (75 მან.) რედაქციასავე შემოსწირეს.

საღამოს მოწყობასა და ჩატარებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს თვით საღამოს გამგემ დარია ახვლედიანისამ, კნ. ეკატერინე ნიკ. ასულმა დიასამიძე—წერეთლისამ, ვარინკა თავ. ერისთავის ასულმა, ანნა მერკვილაძისამ, თამარა ილ. ხუნდაძის ასულმა, მარიამ შენგელიამ, მალია ბალუევისამ, თამარა ლოლობერიძემ, დებმა ელენე და მარიამ ბეროზაშვილებმა, ასია აკოფჯანოვმა, ანეტა ჯაფარიძისამ, თამარა დათიაშვილისამ, ელენე შევარდნაძემ, თამარა ჟორდანიამ, ელიკო მატარაძემ, ტანია სანიკიძემ, აგრეთვე სვ. წერეთელმა; ყვავილების მოვაჭრემ მ. მამულაშვილმა (მაღ. „სოლეიდორ") სრულიად უფასოდ შემოგვაწია ვარდ-ყვავილები და თაიგულები, თითქმის 60 მან. ბართლომე კილაძემ უფასოდ დაგვიბეჭდა აფიშ-პროგრამები. ყველა ზემოხსენებული პირნი და აგრეთვე დამსწრე საზოგადოებას, რომელნიც გულწრფელად ცდილობდენ ნივთიერად და ზნეობრივად მეტი შემწეობა აღმოგვიჩინა,—უდიდეს მადლობას უძღვნით.

რედაქცია: „თეატრი და ცხოვრება"

მანო სარაჯიშვილი ნადირის როლში („მარგალიტების მაძიებელნი") **ზარეა** ლადო გულდიაშვილისა.

წვრილ ამბები

მუშათა ერთს ჯგუფს განუზრაძავს გამოსცეს კვირეული ჟურალი „მუშა" ეროვნულ-სოციალისტური მიმართულებისა, შოთა რუსთაველის პრინციპების თანახმად.

—**ქართ. კლუბში** ღვინობისთვის 19 ქართ. დრ. დასმა წარმოადგინა შემდეგი პიესები: „ფული და ხარისხი „უდბედური" დღე". მართალია პიესები უკვე დროგმოგმულია მაგრამ ჩვენმა მსახიობებმა კარგადჩაღარეს.

—ხუთშაბათს ღვინობისთვის 19ამავე დასმა დასდგა ბიბაშვილის პიესა :ომი; წარმოდგა რომელსაც ხალხი აუარებელი დაესწრო, სუსტად ჩაიურა. დაწვრილებით შემდეგ

—ახალგაზდმა მომღერალმა **ლ.ბეჟავამ**, დაიბირა გამოცდა კონცსვეტორიაში და მიიღო ჩაიკოვსკის სთეპენდია:

—წავსულ კვირას ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის ყრილობა რომელიც ფაბი ფუფუით დაიწყო დიდი აურ საურის შემოეგ, როგორც იქმნა დასრულდა.

—რუსულ დრამის **ბარ**ოს ამხანაგობა ორიგინალურ პიესების დადგმას შეუდგა. კარგი იქნება,რომ ჩვენმა მსახიობებმაც მიჰგაძომ მაგალათს.

—კვირას დილის 12 საათზე გაიმართება ქართულ კლუბის აღა ყველულეარივი კრება- სადაც ბანიხილავენ ქართულ სამუსკო საღამოების გამართვას საკითხს.

— ოპერა ღალატს სთარგმნის ქართულად **იოსებ იმედაშვილი.**

შენიშვნა.

ჟურ. „თეატრი და ცხოვრებას" შემოსწირეს:

1, **სოფ. თარუაშვილმა (ბოლნისშვილმა)**	**35** მან'
2, **ექ, ივ. თიკანაძემ**	10 მან,
3, **კ, თარხან-მოურავმა**	2 მან,

შემოწირულები ბოლოთად მადლობას ვუძღვნით რედ.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობას

განზრახვა აქვს ამ მოკლე გამართოს **გამოსაცდელი** წარმოდგენა ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ **წარმოდგენაში** შეუჰლიან ჩაეწერონ **წრის** კანტორაში ყველ დღე საღამოს 7—9 სათამდენ.

მიხეილის პროსპექტი №102.

ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამმა

კვირა—საღამო **წარმოდგენა.**

ორშაბათი—ოპერეტა. მუსიკა

ამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. **წარმოდგენა.** მუსიკა

პარასკ.—ოპერეტა.

შაბ.—საოჯახო საღამო

კვირა რუსული—**წარმოდგენა.**

თეატრი და ცხოვრება

მიიღება თბილისში, **რედაქციაში**—ბაზრის ქ. **№ 20**, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ. **არჯევანიძისა.**

საფოსტო მისამართი: **თბილისი, რედ. „თეატ. და ხოვრება"—**

რედაქტორ-გამომცემელი ოსებ **იმედაშვილს.**